

სარჩევი

აუდიტორთა დასკვნა	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1 ზოგადი ინფორმაცია.....	9
2 მომზადების საფუძველი	10
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	11
4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	18
5 ხელფასები და ბონუსები	19
6 საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	19
7 გადასახადები	19
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
9 კლიენტებზე გაცემული სესხები	21
10 სესხები დაკავშირებული მხარისგან	23
11 სხვა ვალდებულებები	24
12 სააქციო კაპიტალი და რეზერვები	24
13 რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი.....	25
14 კაპიტალის მართვა.....	30
15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
16 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: სამართლიანი ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები.....	31
17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	32



შპს KPMG Georgia
ბესიკის ქ. 4, მე-2 სართ.
თბილისი, 0108
საქართველო
ტელეფონი +995 (32) 2935695
ფაქსი +995 (32) 2935713
ვებ-გვერდი www.kpmg.ge

აუდიტორთა დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინის“ აქციონერებს

ჩვენ მოვახდინეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინის“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, რომელიც წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ ეთიკის ნორმების დაცვასა და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნიან შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, თუმცა აუდიტის უშუალო მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლების სისტემების ეფექტურობის შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობისა და სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობის და, მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 2

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

KPMG Georgia LLC

შპს „KPMG Georgia“

30 აგვისტო, 2016 წელი



სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი'000	შენიშვნა	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
საპროცენტო შემოსავალი	4	400
საპროცენტო ხარჯი	4	(115)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		285
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		20
საოპერაციო შემოსავალი		305
სესხის გაუფასურების ანარიცხი, წმინდა	9	(52)
ხელფასები და ბონუსები	5	(198)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	6	(153)
ზარალი დაბეგრამდე		(98)
მოგების გადასახადის სარგებელი	7	14
პერიოდის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(84)

5-32 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2016 წლის 30 აგვისტოს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერს შემდეგი პირი:


 ანრი ჩხაიძე
 დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი'000	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2015 წელი
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	48
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	2,167
ძირითადი საშუალებები		22
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	14
სხვა აქტივები		17
სულ აქტივები		2,268
ვალდებულებები		
სესხები დაკავშირებული მხარისგან	10	2,044
სხვა ვალდებულებები	11	58
სულ ვალდებულებები		2,102
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	12	250
გაუნაწილებელი ზარალი	12	(84)
სულ კაპიტალი		166
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,268

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების
თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის*

ლარი'000	შენიშვნა	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
<hr/>		
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე		(84)
კორექტირებები:		
სესხის გაუფასურების ანარიცხი		52
ცვეთა		4
საპროცენტო შემოსავალი		(382)
საპროცენტო ხარჯი		115
ფულადი გადინებები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებების განხორციელებამდე		(295)
<hr/>		
ცვლილებები:		(2,199)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(17)
სხვა აქტივები		58
სხვა ვალდებულებები		(2,453)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები პროცენტის მიღებამდე/(გადახდამდე)		348
მიღებული პროცენტი		(101)
გადახდილი პროცენტი		(2,206)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(26)
<hr/>		
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(26)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(26)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(26)
<hr/>		
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		2,030
ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან		250
სააქციო კაპიტალის შევსებიდან მიღებული სახსრები		2,280
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		48
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		48
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	8	48

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაკრო ფინი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი)
 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

ლარი '000	საქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2014 წლის 17 ნოემბერს	-	-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	(84)	(84)
ოპერაციები აქციონერებთან, პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	250	-	250
სულ ოპერაციები აქციონერებთან	250	-	250
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს	250	(84)	166

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 17 ნოემბერს, სს „კონსტანტას“ და ფონდი კონსტანტას გადაწყვეტილებით (საბჭოს დადგენილება №1, 2014 წლის 17 ნოემბერი) და დარეგისტრირდა როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 2015 წლის 27 იანვარს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (2006 წლის 18 ივლისი) შესაბამისად.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბახტრიონის ქ. №30.

„კომპანიის“ უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო საბჭო. „კომპანიის“ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. „კომპანიის“ ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

„კომპანიის“ ამოცანებს წარმოადგენს მიკრო და მცირე ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურებების შეთავაზების გზით.

„კომპანიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო სესხების გაცემა. „კომპანიის“ ფინანსურ პროდუქტს წარმოადგენს ინდივიდუალური ბიზნეს სესხები.

„კომპანიის“ სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველო.

„კომპანიის“ აქციონერები არიან სს „კონსტანტა“ (90%), სამეწარმეო პირი, რომელიც რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოში და „ფონდი კონსტანტა“ (10%), არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც პირველი მიკროსაფინანსო დაწესებულება იყო საქართველოში.

„კომპანიის“ დაფინანსება ხორციელდება და მისი საკრედიტო რისკი უკავშირდება მის აქციონერებს. შედეგად, „კომპანია“ ეკონომიკურად დამოკიდებულია მის აქციონერებზე და „კომპანიის“ საქმიანობაზე მჭიდროდ უკავშირდება აქციონერთა მოთხოვნებს.

აქციონერებს აქვთ „კომპანიის“ ოპერაციების მათი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართვის უფლება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად აღწერილია შენიშვნაში 15.

(ბ) ბიზნეს გარემო საქართველოში

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს ავლენენ. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის

სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე „კომპანიებს“. ფინანსური ანგარიშგება ასახავს „კომპანიის“ ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

(ა) ანგარიშგების შესაბამისობა

თანმხლები ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

„კომპანიის“ ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ასახავს შესაბამისი ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული გარემოებების ეკონომიკურ არსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

(დ) დაშვებების და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

ინფორმაცია შეფასებების მნიშვნელოვან სფეროებთან დაკავშირებული გაურკვევლობებისა და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების შესახებ კრიტიკულ დასკვნებთან დაკავშირებით აღწერილია შენიშვნაში 9 - სესხის გაუფასურების შეფასებები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტისა და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ოპერაციის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ბ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშებისაგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

სესხები და დავალიანებები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ სესხებისა და დავალიანებებისა:

- რომელთა გაყიდვასაც „კომპანია“ სასწრაფოდ ან უახლოეს დროში აპირებს;
- რომლებსაც „კომპანია“ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში;
- რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს, ან,
- როდესაც „კომპანია“ ვერ ახდენს პირველადი ინვესტიციების სრულად აღდგენას, გარდა კრედიტუნარიანობის გაუარესების მიზეზისა.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს.

„კომპანია“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხების კატეგორიაში, რომელიც მოიცავს კლიენტებზე გაცემულ სესხებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და სხვა აქტივებს.

„კომპანია“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს დაკავშირებული მხარისგან და სხვა ვალდებულებებს.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოებს იმ მომენტიდან, როდესაც „კომპანია“ გახდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული ხელშეკრულების მხარე.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის იმ დანახარჯების დამატებით (იმ აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არიან აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შექმნას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები და სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

(iv) ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი გადასახდელი თანხების გამოკლებით, აკუმულირებული ამორტიზაციის მიმატებით ან გამოკლებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვისდროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობასთან მიმართებაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(v) სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა „კომპანიას“ და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას „კომპანია“ განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, „კომპანია“ სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება. თუ „კომპანია“ გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს; ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა

შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

(vi) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

მოგება ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივისათვის აისახება მოგებაში ან ზარალში, როცა წყდება ფინანსური აქტივი ან ვალდებულების აღიარება ან მისი გაუფასურება, და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა „კომპანია“ გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა „კომპანია“ არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსური აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება „კომპანიაში“, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. „კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

„კომპანია“ ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

(viii) ჩათვლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნას აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

(დ) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის ან ამგვარი აქტივების ჯგუფის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურება გამოწვეულია ფინანსური აქტივის (ზარალის შემთხვევის) თავდაპირველი აღიარების შემდეგ წარმოშობილი ერთი ან რამდენიმე მოვლენით და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რაც შესაძლოა სარწმუნოდ შეფასდეს.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას; ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურის იხეთი პირობებით, რომლებსაც „კომპანია“ სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა; მინიშნებას იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან სესხის გამცემი გაკოტრდება; ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ მონაცემებს, როგორც არის ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდისუნარიანობის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებები, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(i) ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ძირითადად შედგება სესხებისგან. „კომპანია“ რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას გაუფასურების მაჩვენებლების შეფასების მიზნით.

„კომპანია“, პირველ რიგში, განსაზღვრავს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს განცალკევებით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, თუ ინდივიდუალურად ან ერთიანად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან აქტივებს არ წარმოადგენენ. თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ის სესხს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომლისთვისაც ხდება და გრძელდება გაუფასურების ზარალის აღიარება, მხედველობაში არ მიიღება გაუფასურების ერთიანი შეფასებისას.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების

ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მოთხოვნაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის შესაფასებლად საჭირო მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავს მსესხებელბთან დაკავშირებული მხოლოდ რამდენიმე ისტორიული მონაცემი არსებობს. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, „კომპანია“ ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. „კომპანია“ ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულდება სესხის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

(ე) სააქციო კაპიტალი და რეზერვები

(i) ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც სააქციო კაპიტალი. დამატებითი ნაზარდი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან, აღიარდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(ii) დივიდენდები

„კომპანიის“ შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება საბალანსო მოგების განაწილების სახით მათი გამოცხადების პერიოდში.

(ვ) დაბეგვრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ შემოსავალზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებენ ან არსებითად მოქმედებენ საანგარიშგებო თარიღისთვის, და, აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირებებით.

გადავადებული გადასახადის დათვლა ხდება იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვთ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის. თავდაპირველი აღიარებისას არ ხდება იმ აქტივებისა და ვალდებულებების დროებითი სხვაობების გათვალისწინება, რომლებიც არ ახდენენ გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებსაც „კომპანია“ მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოყენებული საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არსებობს მოსალოდნელი იმისა, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(ზ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის მთლიანი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის მოგებაში ან ზარალში აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

(თ) ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

რამოდენიმე ახალი სტანდარტი, აგრეთვე, სტანდარტების ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და, შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე. „კომპანია“ გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოშვებული იქნება რამდენიმე ნაწილად და განზრახულია, რომ ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9-ის პირველი ნაწილი გამოშვებულია 2009 წლის ნოემბერში და ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებას. მეორე ნაწილი, ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ გამოვიდა 2010 წლის ოქტომბერში. სტანდარტის მესამე ნაწილი გამოშვებულია 2013 წლის ნოემბერში და ეხება ჰეჯირების ზოგად აღრიცხვას. სტანდარტი დასრულდა და გამოქვეყნდა 2014 წლის ივლისში. საბოლოო ნაწილი ეხება საკრედიტო ზარალის მოდელს გაუფასურების გასაანგარიშებლად. „კომპანია“ აცნობიერებს, რომ ახალ სტანდარტს შეაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და შესაძლოა იქონიოს არსებითი გავლენა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე. „კომპანიას“ არ ჩაუტარებია ამ ცვლილებების გავლენის ანალიზი. „კომპანია“ არ აპირებს ამ სტანდარტის ვადაზე ადრე დანერგვას. სტანდარტი ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად, ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით.
- ფასს-ში შეტანილი სხვადასხვა ცვლილებები თანდათანობით ხორციელდება თითოეული სტანდარტისთვის. ყველა ცვლილება, რომელიც გამოიწვევს სააღრიცხვო ცვლილებას წარმოდგენის, აღიარების და შეფასების მხრივ, ამოქმედდება 2014 წლის 1 იანვრამდე. „კომპანიას“ ჯერ არ ჩაუტარებია აღნიშნული ცვლილებების „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციებზე სავარაუდო გავლენის ანალიზი.

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ლარი'000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
საპროცენტო შემოსავალი	
კლიენტებზე გაცემული სესხები	400
	<u>400</u>
საპროცენტო ხარჯი	
სესხები დაკავშირებული მხარისგან	(115)
	<u>285</u>

5 ხელოვასები და ზონუსები

ლარი'000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
თანამშრომელთა ანაზღაურება	(198)

6 საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი'000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები	(53)
პროფესიონალური მომსახურებები	(44)
იჯარა	(23)
საოფისე მასალები	(10)
მგზავრობისა და ტრანსპორტირების ხარჯები	(8)
ცვეთა	(4)
სასწავლო ხარჯები	(2)
საბანკო ხარჯები	(2)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(1)
სხვა ხარჯები	(6)
	(153)

7 გადასახადები

ლარი '000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	-
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	-
გადავადებული მოგების გადასახადი დროებითი სხვაობების წარმოშობისა და ამოწურვის შედეგად	14
სულ მოგების გადასახადის სარგებელი	14

პერიოდის განმავლობაში მოქმედი საგადასახადო განაკვეთი მიმდინარე და გადავადებული გადასახადისთვის შეადგენს 15%.

მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

ლარი '000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის	%
ზარალი დაბეგვრამდე	(98)	100%
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	(15)	15%
მიმდინარე წლის ზარალი, რომლისთვისაც არ არის აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	1	-
	(14)	15%

ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დროებითი დაქვითვადი სხვაობები არ იწურება მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია მოძრაობები დროებით სხვაობებში, 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში:

ლარი '000	ნაშთი 2014 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით	აღიარებული მოგება/ზარალში	ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ძირითადი საშუალებები	-	(3)	(3)
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	15	15
სხვა ვალდებულებები	-	2	2
	-	14	14

ბ) აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში:

ლარი '000	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა
ძირითადი საშუალებები	-	(3)	(3)
კლიენტებზე გაცემული სესხები	15	-	15
სხვა ვალდებულებები	2	-	2
წმინდა საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	17	(3)	14

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი'000	31 დეკემბერი, 2015 წელი
ნაშთები ბანკში	48
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	48

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

ბანკში არსებული „კომპანიის“ ნაშთები განთავსებულია საქართველოს ბანკებში, რომელთაც საკრედიტო რეიტინგის კვლევის სააგენტოს „Fitch“ მიერ მინიჭებული აქვთ B და BB- რეიტინგები.

9 კლიენტებზე გაცემული სესხები

ლარი'000	31 დეკემბერი, 2015 წელი
ძირითადი თანხა	2,228
პროცენტი	38
გადავადებული კრედიტის გაცემის საკომისიო	(26)
ზედმეტობა სესხის სტანდარტული გადახდის პირობებთან მიმართებაში	(30)
გაუფასურების რეზერვი	(43)
ფიზიკურ პირებზე გაცემული წმინდა სესხები	2,167

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში მოცემულია ქვემოთ:

ლარი'000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	-
წმინდა ხარჯი	52
ჩამოწერა	(9)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	43

(ა) კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

შემდეგი ცხრილი იძლევა ინფორმაციას კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები (ბრუტო) ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	სესხები (ნეტო) ლარი'000	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო) %
სესხები ინდივიდუალური გაუფასურების ნიშნების გარეშე	2,153	(30)	2,123	1.4%
გაუფასურებული სესხები:				
- 30 დღემდე ვადაგადაცილება	26	(3)	23	11.5%
- ვადაგადაცილება 30-დან 180 დღემდე	31	(10)	21	32.3%
სულ გაუფასურებული სესხები	57	(13)	44	22.8%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	2,210	(43)	2,167	1.9%

სესხები გაცემულია ფიზიკურ პირებზე/მცირე მეწარმეებზე საქართველოში. სესხები უზრუნველყოფილია მესამე მხარის პერსონალური უზრუნველყოფებით.

(ბ) სესხის სავარაუდო გაუფასურებასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და მოსაზრებები

„კომპანიას“ არ გააჩნია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები.

ხელმძღვანელობის მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის განსაზღვრაში გამოყენებული დაშვებები მოიცავს: ვადაგადაცილებულ გადახდებს სასესხო ხელშეკრულებების საფუძველზე, მნიშვნელოვან სხვაობებს მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაში, ფიზიკური პირებისგან მიღებული უზრუნველყოფები არ არის გათვალისწინებული გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის.

ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე გაუფასურების განსაზღვრასთან დაკავშირებით მოიცავს ერთობლივ ანარიცხს 1.4%-ის ოდენობით, რომელიც ასახავს ეკონომიკურ გარემოს და ბაზრის ზარალის გამოცდილებას მსგავსი არავადაგადაცილებული სესხებისთვის.

ამ შეფასებაში ცვლილებებმა შესაძლოა იმოქმედოს სესხის გაუფასურებაზე. მაგალითად, თუკი სავარაუდო ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება განსხვავდება პლიუს-მინუს სამი პროცენტით, გაუფასურების რეზერვი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 65 ათასი ლარით ნაკლები/მეტე.

(გ) სესხის დაფარვის ვადები

სასესხო პორტფელის დაფარვის ვადა წარმოდგენილია შენიშვნაში 13(დ), რომელიც წარმოაჩენს დარჩენილ დროს საანგარიშგებო თარიღიდან სესხების დაფარვის სახელშეკრულებო ვადამდე.

10 სესხები დაკავშირებული მხარისგან

წინამდებარე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია დაკავშირებული მხარისგან მიღებული პროცენტური სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტის და ლიკვიდურობის რისკების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ შენიშვნა 13.

ლარი '000	31 დეკემბერი, 2015 წელი
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i> არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	2,030
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i> არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	14
სულ სესხები დაკავშირებული მხარისგან	2,044

(ა) ვადები და სესხის გადახდა

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები მოცემულია ქვემოთ:

ლარი '000	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	სესხის დაფარვის წელი	31 დეკემბერი, 2015 წელი	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	ლარი	12%	2020	2,044	2,044
სულ პროცენტური ვალდებულებები				2,044	2,044

(ბ) ხელშეკრულების დარღვევა

2015 წლის 15 თებერვალს „კომპანია“ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება „ფონდ კონსტანტასთან“ შემოთავაზებული საკრედიტო ხაზით 2,225 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც ვადა გასდის 2020 წელს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კრედიტის აუთვისებელი თანხა შეადგენს 195 ათას ლარს.

საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება მოიცავს პირობებს, რომლის თანახმადაც „კომპანიის“ წმინდა მოგება ან ზარალი 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის გაყოფილი „კომპანიის“ კაპიტალზე 2015 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით, არ უნდა იყოს მინუს 10%-ზე ნაკლები. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ დაარღვია ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების პირობა. ხელმძღვანელობა იმყოფებოდა ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესში სესხის გამცემებთან და 2015 წლის დეკემბრის თვეში მიიღო თანხმობა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვდა სესხის დაბრუნებას დარღვეული სახელშეკრულებო პირობის გამო, შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები დაკავშირებული მხარისგან არ არის კლასიფიცირებული, როგორც გადასახდელი მოთხოვნისთანავე.

11 სხვა ვალდებულებები

ლარი'000	31 დეკემბერი, 2015 წელი
დავალიანება მიღებული მომსახურებებიდან	33
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	25
სულ სხვა ვალდებულებები	<u>58</u>

12 სააქციო კაპიტალი და რეზერვები

(ა) სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

აქციონერი	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	წილი %	სააქციო კაპიტალი (ლარი)
სს „კონსტანტა“	225,000	90.0%	225,000
ფონდი კონსტანტა	25,000	10.0%	25,000
	<u>250,000</u>	<u>100.0%</u>	<u>250,000</u>

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს და მთლიანად არის ანაზღაურებული.

პარტნიორების საკუთრების, ხმის მიცემის და დივიდენდის უფლებები ნაწილდება „კომპანიაში“ მათი წილის პროპორციულად.

(ბ) დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ სხვადასხვა დროს გამოცხადებული დივიდენდები და „კომპანიის“ წლიურ და საერთო კრებებზე გააჩნიათ თითოეულ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით.

პერიოდის განმავლობაში აქციონერებისთვის დივიდენდები არ გამოცხადებულა.

13 რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი

რისკების მართვა „კომპანიის“ საქმიანობის ფუნდამენტურ ნაწილსა და მისი ოპერაციების არსებით ელემენტს წარმოადგენს. „კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

(ა) რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

„სამეთვალყურეო საბჭოს“ აქვს საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკების მართვის სტრუქტურის განსაზღვრასა და მიმოხილვაზე და ის პასუხს აგებს „კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ასევე აქციონერებისთვის მისი საქმიანობების შესახებ ანგარიშის რეგულარულად წარდგენაზე.

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია „კომპანიის“ წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება და ანალიზი, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით. სატრენინგო, მართვის სტანდარტებისა და პროცედურების ფარგლებში „კომპანიის“ მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქტიული საკონტროლო გარემოს შემუშავება, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის თავისი როლი და ვალდებულება.

აქციონერები თვალს ადევნებენ თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა „კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის მიმოხილვას „კომპანიის“ წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ბ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშვება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია „კომპანიაზე“ საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

„კომპანია“ მართავს თავის საბაზრო რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე ღია პოზიციის ზღვრების, საპროცენტო განაკვეთის ვადებისა და ვალუტის პოზიციების განსაზღვრით. ეს პროცესი რეგულარულად კონტროლირდება, გადაიხედება და მტკიცდება „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყეებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პრიორიტეტულ დონეებთან დაკავშირებული ცვლილებები. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან წარმოშვას ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ მოძრაობებს.

საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო პოზიციების მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის შედარებითი მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის:

ლარი '000	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2015 წელი				
აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	55	1,945	167	2,167
	55	1,945	167	2,167
ვალდებულებები				
სესხები დაკავშირებული მხარისგან	14	-	2,030	2,044
	14	-	2,030	2,044

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავენ ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის მიახლოებით მაჩვენებელს.

	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, % ლარი
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები	
კლიენტებზე გაცემული სესხები	37%
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები	
სესხები	12%

საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სენსიტიურობის მონიტორინგთან ერთად საპროცენტო განაკვეთის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ხორციელდება. წმინდა მოგების სენსიტიურობის ანალიზი, საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებზე (ფასების შეცვლის რისკი), ეყრდნობა ყველა შემოსავლის მრუდის 100 ერთეულით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარს. საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებების არსებული პოზიციები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ლარი'000	2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის
პარალელური ვარდნა 100 ერთეულით	(17)
პარალელური ზრდა 100 ერთეულით	17

(ii) სავალუტო რისკი

საანგარიშგებო თარიღისთვის „კომპანია“ არ დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე.

(გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს „კომპანიის“ ფინანსურ ზარალს.

„კომპანიას“ შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავს საკრედიტო კომიტეტის დაფუძნებას, ასევე ანალიტიკურ უწყებებს, რომლებიც პასუხს აგებენ სასესხო განაცხადებში ინფორმაციის ანალიზზე, და საკრედიტო რისკების შეფასებასა და მათ შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს ფორმით) განიხილება და მტკიცდება „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება არსებული სისხლის განაცხადის თაინანსიზა ან არ დაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის

დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე მისი გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. სესხების რეგულარული მონიტორინგი ასევე ხორციელდება მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ. მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურად წარედგინება უმაღლეს მენეჯმენტს, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მოსალოდნელ რისკებზე. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

დამოკიდებულება საკრედიტო რისკებზე ასევე ნაწილობრივ ხორციელდება გირაოსა და თავდებობის მეშვეობით.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიას“ არ ჰყავს მსესხებლები ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფი, რომელთა საკრედიტო რისკი აღემატება მაქსიმალური საკრედიტო რისკის 10%-ს.

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა ან/და მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა ტრანზაქციების მრავალფეროვნებიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე იშვიათია. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

„კომპანია“ მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით. ლიკვიდურობის პოლიტიკას განიხილავს და ამტკიცებს „სამეთვალყურეო საბჭო“.

„კომპანია“ ცდილობს აქტიურად მოახდინოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების ბაზის მხარდაჭერა, რაც მოიცავს გრძელ და მოკლევადიან სესხებს სხვა ბანკებისგან და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან, რომელსაც თან ახლავს ზე-ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელები, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სწრაფად და უპრობლემოდ მოხდეს რეაგირება გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნებზე.

ლიკვიდურობის პოზიციას აკონტროლებს და ლიკვიდურობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური ვალდებულებების და მათი ყველაზე ადრეული შესაძლო სახელშეკრულებო ვადიანობის საფუძველზე. ცხრილში ასახული მთლიანი შემოდინება და გადინება, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ნაღდ ფულად ნაკადს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ლარი '000	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხა	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული აქტივები					
ფულადი ნაკადები და მათი ეკვივალენტები	48	0	0	48	48
კლიენტებზე გაცემული სესხები	127	2,481	197	2,805	2,167
სხვა აქტივები	6	-	-	6	6
სულ აქტივები	181	2,481	197	2,859	2,221
არაწარმოებული ვალდებულებები					
სესხები დაკავშირებული მხარისგან	20	224	2,890	3,134	2,044
სხვა ვალდებულებები	33	-	-	33	33
სულ ვალდებულებები	53	224	2,890	3,167	2,077
წმინდა პოზიცია	128	2,257	(2,693)	(308)	144

14 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას „კომპანია“ მიზნად ისახავს:

- დაიცვას „კომპანია“, რომ განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედა ორგანიზაციამ, ისე, რომ მან შეძლოს გააგრძელოს აქციონერების შემოსავლით უზრუნველყოფა; და
- რისკის დონის შესაბამისი მომსახურების ფასების დაწესებით აქციონერებისთვის ადეკვატური შემოსავლის უზრუნველყოფა, რისკის დონის შესაბამისად.

„კომპანია“ კაპიტალის საფასურის საჭირო ოდენობას რისკის პროპორციულად განსაზღვრავს. „კომპანია“ მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და აქტივებისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია „კომპანიამ“ დააკორექტიროს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შემცირების მიზნით.

„კომპანია“ აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს 250 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისად 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) მაკონტროლებელი ურთიერთობები

„კომპანიის“ მშობელი კომპანია და მისი 90%-იანი წილის მფლობელი არის სს „კონსტანტა“, სს „კონსტანტას“ აქციონერები არიან: თამარ ლებანიძე (48.32%), ლევან ლებანიძე (29.21%), გიორგი ლაჭავა (12.36%) და სამი ფიზიკური პირი 3.37%-იანი წილით.

„კომპანიის“ მშობელ კომპანიას არ გამოუცია საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგება.

(ბ) ოპერაციები მმართველთა საბჭოსთან

თანამშრომელთა ხელფასებსა და ბონუსებში გათვალისწინებული ანაზღაურება 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების დღე) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის შეადგენს შემდეგს:

ლარი'000

2014 წლის 17 ნოემბრიდან
(დაფუძნების თარიღი) 2015
წლის 31 დეკემბრამდე
პერიოდისთვის

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

საპროცენტო ხარჯი 115 ათასი ლარის ოდენობით 2014 წლის 17 ნოემბრიდან (დაფუძნების თარიღი) 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში აღიარებულია მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ არაუზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში. დაკავშირებული მხარისგან სესხების საპროცენტო განაკვეთები და ვადიანობა განსაზღვრულია შენიშვნაში 10.

16 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: სამართლიანი ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

„კომპანია“ ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.
- დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ ფასის განსასაზღვრად გამოიყენება, რომელიც მიღება აქტივის გასაყიდად ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტული ოპერაციის დროს შეფასების დღეს. თუმცა, გაურკვეველობების და სუბიექტური მსჯელობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც აქტივების გაყიდვის მომენტში ან ვალდებულებების გადაცემისას.

„კომპანია“ სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად გამოიყენა შეფასების ტექნიკები. შეფასების ტექნიკების მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების ისეთი განსაზღვრება, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვის ან

ვალდებულებების გადაცემის ანაზღაურების მიზნით სტანდარტულ გარიგებებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებულ შეფასების ტექნიკას წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი.

ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგი სახის შეფასებებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად.

- 34.0-41.0%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;
- 12.0%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

„კომპანია“ აფასებს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას, როგორც არამატერიალურად განსხვავებულს მათი საბალანსო ღირებულებისგან.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საბოლოო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელწოდებით არის ცნობილი), რომლის საფუძველზეც დაბეგვრის მომენტი გადადის მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღზე. კანონპროექტი უკვე ამოქმედდა და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საგადასახადო პერიოდებისთვის ყველა ორგანიზაციისთვის ფინანსური ინსტიტუტებს გარდა (როგორც არის სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ამ კანონის ამოქმედებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოში მოქმედი საწარმოების მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებზე.